საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 003949

„15" სექტემბერი 2025 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
ქ. თბილისი, ვ. წითელაძის I შეს №1;

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ბათუმის ოქროპოლი" (ს/ს 245426882)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
იურ. პირ.; ქ. ბათუმი, ოქროპოლის გზაცცევილი №220; დირექტორი
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი; იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელ
მინისტრის 2019 წლის 25 ნოემბრის
№2-1140 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადწყვეტილება (დასკვნა №86; 22.12.2010)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №003949
ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა

№ 004150

„15" სექტემბერი 2025 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუნაგო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
ქ. თბილისი ვაჟიანი I ჯს №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „ბაფუმის აეროპორტი" (ს/ს 245426882)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
ფუნ. მის: ქ. ბათუმი, აეროპორტის გზაჯვარედინი №220; დირექტორი [redacted]
პირადობის,მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)
[redacted]

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №004150
ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ №004150 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 3 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 46-ე მუხლის პირველი

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

ნაწილის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 82³ მუხლის და 84-ე

მუხლის პირველი ნაწილის საფუძვლით.

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

უფროსის მოადგილე - მცხეთა სახელმწიფო ინსპექტორი ნელი კოტკოტაძე

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კოტკოტაძე

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

ივგენია ლისკინი

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2025 წლის 15 სექტემბრის №004150 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 2 ივლისის №DES22400000295 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა შპს "ბათუმის აეროპორტი"-ზე (ს/კ 245426882), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 ნოემბრის №2-1140 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2010 წლის 22 დეკემბრის №86 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ კომპანიას არ აქვს შესრულებული მინისტრის 2019 წლის 25 ნოემბრის №2-1140 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (2010 წლის 22 დეკემბრის №86 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული ვალდებულებები და **გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები**. კერძოდ:

1. **დადგინდა, რომ შპს "ბათუმის აეროპორტი" ნარჩენების მართვას არ ახორციელებს ნარჩენების მართვის კოდექსის და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად. კერძოდ:**

1.1. შპს „ბათუმის აეროპორტი“ საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ სახიფათო ნარჩენებს (160107* - 3 კგ. ზეთის ფილტრები (ზეთის და საწვავის ფილტრები); 150202* - 6 კგ. აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში, საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანისამოსი, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებით; 080111*- 6 კგ. ნარჩენი საღებავი ან ლაქი, რომელიც შეიცავს ორგანულ გამხსნელებს ან სხვა სახიფათო ნივთიერებებს) გადასცემს შპს „პროექტების განვითარების ჯგუფი“-ს (ს/კ 200268370), რომელსაც ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში ნარჩენების შეგროვება/ტრანსპორტირებაზე არ აქვს გავლილი საქმიანობის რეგისტრაცია. შესაბამისად გამოვლინდა სახიფათო ნარჩენების არაუფლებამოსილ პირზე გადაცემის ფაქტი, რაც წარმოადგენს ნარჩენების მართვის კოდექსის 35[1]-მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას;

1.2. ინსპექტირებისას დადგინდა, რომ შპს "ბათუმის აეროპორტი" არ აწარმოებს ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge) სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმას. შესაბამისად, გამოვლინდა სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების დაწყებამდე, შესაბამის ელექტრონულ სისტემაში, სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმის შევსებისა და წარდგენის საქართველოს კანონმდებლობით

დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის ფაქტი, რაც წარმოადგენს ნარჩენების მართვის კოდექსის 40^1 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

2. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ აეროპორტის ტერიტორიაზე არსებულ 17 ერთეული ჰაერკონდიცირების მოწყობილობა მოიხმარს 3 კგ ან 3 კგ-ზე მეტ სხვადასხვა ტიპის მაცივარაგენტს, თუმცა, კომპანიას მაცივარაგენტების მართვის ელექტრონულ სისტემაში (https://emoe.gov.ge/) არ აქვს გავლილი რეგისტრაცია, რაც წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 82^3 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

განხორციელებული შემოწმების შედეგებზე, 2024 წლის 8 ოქტომბერს, შედგა შემოწმების შესახებ ინსპექტირების № 004668 აქტი, ხოლო გამოვლენილ დარღვევებზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი ნაწილის, 79^7 მუხლის პირველი ნაწილის, 82^3 მუხლის, ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის 40^1 მუხლის მე-2 ნაწილის და 35^1 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №089093 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნება ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლომ, 2024 წლის 18 ნოემბრის №4-1799/24 დადგენილებით, შპს „ბათუმის აეროპორტი“ სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^7 მუხლის პირველი ნაწილით, 79^8 მუხლის პირველი ნაწილით, 82^3 მუხლით, ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის 40^1 მუხლის მე-2 ნაწილით და 35^1 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში (გარდა №089093 ოქმის დანართის 1.1; 1.2; 1.3; 1.4; 1.8 და 1.9 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისა) და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 7 000 ლარის ოდენობით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 18 ნოემბრის №4-1799/24 დადგენილება შპს „ბათუმის აეროპორტი“-ს მიერ გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლომ, 2025 წლის 25 აპრილის №4/ა-107-25 დადგენილებით, განუხილველად დატოვა კომპანიის საჩივარი (ხარვეზის დაუკმაყოფილებლობის გამო). დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ბათუმის აეროპორტი“-ს მიმართ, შემუშავდა დეპარტამენტის 2025 წლის 15 სექტემბრის №004150 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2025 წლის 15 სექტემბრის №004150 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „ბათუმის აეროპორტი“-ზე (ს/კ 245426882), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 ნოემბრის №2-1140 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2010 წლის 22 დეკემბრის №86 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „ბათუმის აეროპორტი“ ვალდებულია**:

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან ნარჩენების მართვა **მუდმივად** განახორციელოს ნარჩენების მართვის კოდექსის და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად. მათ შორის:

1.1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს,** საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების, ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge), სახიფათო ნარჩენების შეგროვება/ტრანსპორტირებაზე შესაბამისი საქმიანობის რეგისტრაციის მქონე ორგანიზაციისთვის/პირისთვის გადაცემა;

1.2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ** მუდმივად **უზრუნველყოს,** ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge) სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმის შევსება;

2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს** „მაცივარაგენტების მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 30 აგვისტოს №333 დადგენილების შესაბამისად, 3 კგ ან 3 კგ-ზე მეტ მაცივარაგენტზე მომუშავე ყველა სტაციონარული მოწყობილობის, მაცივარაგენტების მართვის ელექტრონულ სისტემაში (https://emoe.gov.ge/) რეგისტრაცია.

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ N003949 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი N2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 9 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 798 მუხლის უკანონო ვაჭველი ნანილის წესაბამისად.

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გახემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე-მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი ნანა კოხოლაძე

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კოხოლაძე

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

იოსებ ჯოსელიანი

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2025 წლის 15 სექტემბრის №003949 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 2 ივლისის №DES22400000295 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა შპს "ბათუმის აეროპორტი"-ზე (ს/კ 245426882), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 ნოემბრის №2-1140 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2010 წლის 22 დეკემბრის №86 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. 2010 წლის 22 დეკემბრის №86 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის **პირველი პირობის შესაბამისად,** კომპანია საქმიანობას არ ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, "ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი"-ს და "ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი"-ს შესაბამისად. კერძოდ:

1.1. ნავთობპროდუქტების რეზერვუარების ტერიტორიაზე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების განსაზღვრის მიზნით, **კვირაში ერთხელ** არ არის ჩატარებული მონიტორინგი. კომპანიის მიერ წარმოდგენილია მხოლოდ **თვეში ერთხელ** განხორციელებული მონიტორინგის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

1.2. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების განსაზღვრის მიზნით, უახლოეს მოსახლესთან, **კვირაში ერთხელ,** კომპანიამ არ უზრუნველყო მონიტორინგის ჩატარება, ინსპექტირების პროცესში წარმოდგენილია მხოლოდ **თვეში ერთხელ** განხორციელებული მონიტორინგის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც სრულყოფილად ვერ ასახავს ჩატარებული მონიტორინგის შედეგებს. კერძოდ, წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის მითითებული გაზომვების ჩატარების თარიღი (მითითებულია მხოლოდ თვე და წელი), არ არის დატანილი მონიტორინგის ჩატარების წერტილის კოორდინატი, რითაც შესაძლებელი იქნებოდა დადგინა, თუ რომელ წერტილში (უახლოეს მოსახლესთან) ჩატარდა გაზომვები;

1.3. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების განსაზღვრის მიზნით, საქვაბის სიახლოვეს, თვითმფრინავის ბაქანთან (პერონთან) და ტერმინალთან, **კვირაში ერთხელ** არ უზრუნველყო მონიტორინგის ჩატარება. წარმოდგენილია საქვაბის სიახლოვეს, თვითმფრინავის ბაქანთან (პერონთან) და ტერმინალთან, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების განსაზღვრის მიზნით, **თვეში ერთხელ** განხორციელებული

მონიტორინგის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ამასთან, წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის მითითებული გაზომვების ჩატარების თარიღი (მითითებულია მხოლოდ თვე და წელი);

1.4. "დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილების შესაბამისად, არ აწარმოებს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაციას (პად-1, პად-2, პად-3 ფორმები). კერძოდ, "პად-1" ფორმის №21 ველში არ არის მითითებული ხელმოწერა და თარიღი;

1.5. გამწმენდ ნაგებობამდე და მიმდებარე მიმღებ ჭაში ჩაშვებამდე, **კვირაში ერთხელ,** არ ახორციელებს გზშ ანგარიშით და ზდჩ პროექტით გათვალისწინებულ ინგრედიენტებზე კვლევას;

1.6. კომპანია არ ახორციელებს ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემის ეფექტურობის კონტროლს;

1.7. სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან 2023 წლის 8 ივნისს შეთანხმებული, "ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტში" მითითებული, ჩამდინარე წყლების ჩაშვების №1 წერტილი (სამეურნეო საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილი) ემთხვევა ინსპექტირებისას დაფიქსირებულ ჩაშვების წერტილს, თუმცა ჩამდინარე წყლების ჩაშვების №2 წერტილი (სანიაღვრე ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილი) ზდჩ პროექტში დატანილია №1 წერტილის გვერდით, 21 მეტრში, რაც არ შეესაბამება ფაქტობრივ მდგომარეობას;

1.8. "ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი"-ს შესაბამისად, აეროპორტიდან უახლოეს საცხოვრებელ შენობამდე მანძილი შეადგენს 95 მეტრს, თუმცა, ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი უშუალოდ ემიჯნება აეროპორტის ღობეს;

1.9. საჰაერო ხომალდების სადგომის ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი დაღვრის საწინააღმდეგო შემკრები სისტემა;

1.10. საჰაერო ხომალდების სადგომის გარშემო არ არის მოწყობილი ზედაპირული ნალექებისა და მონარეცხი წყლების შემკრები სანიაღვრე საკანალიზაციო სისტემა;

1.11. "ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში" ასახული გაფრქვევის წყაროები არ შეესაბამება ადგილზე არსებულ

ფაქტობრივ გაფრქვევის წყაროებს. კერძოდ, პროექტში არ არის ასახული და განხილული საქვაბე მეურნეობაში არსებული, 3 ცალი NA R200 მარკის ცხელი წყლის ბოილერი და ავტომანქანებისათვის განკუთვნილი ავტოგასამართ სადგურზე დამონტაჟებული 1 ერთეული დიზელისა და 1 ერთეული ბენზინის საწვავის რეზერვუარი;

2. 2010 წლის 22 დეკემბრის №86 ეკოლოგიური ექსპერტიზის **დასკვნის მე-6 პირობის შესაბამისად,** შპს „ბათუმის აეროპორტი" არ უზრუნველყოფს ტერიტორიაზე წარმოქმნილი მონარეცხი და სანიაღვრე წყლების საკანალიზაციო მუნიციპალურ არხში ჩაშვებას;

3. 2010 წლის 22 დეკემბრის №86 ეკოლოგიური ექსპერტიზის **დასკვნის მე-7 პირობის შესაბამისად**, კომპანიამ, დადგენილ ვადაში, არ უზრუნველყო ჩამდინარე წყლების კვარტალური მონიტორინგის შედეგების წლიურ ანგარიშთან ერთად, სააგენტოში განსახილველად წარდგენა;

4. 2010 წლის 22 დეკემბრის №86 ეკოლოგიური ექსპერტიზის **დასკვნის მე-8 პირობის შესაბამისად**, კომპანიამ, დადგენილ ვადაში, არ უზრუნველყო ავარიებზე ექსტრემალური რეაგირების გეგმის (შემუშავებული სავალდებულო სამოქმედო არეალის რადიუსის ICAO -ს ნორმატივების შესაბამისად) სააგენტოში განსახილველად წარდგენა;

5. 2010 წლის 22 დეკემბრის №86 ეკოლოგიური ექსპერტიზის **დასკვნის მე-9 პირობის შესაბამისად,** კომპანიამ, დადგენილ ვადაში, არ უზრუნველყო ზღვის ნაპირდაცვით ღონისძიებებში ერთიანი ლითოდინამიკური სისტემის ფარგლებში შემუშავებული კონკრეტული ღონისძიებების, სააგენტოში განსახილველად წარდგენა.

ზემოაღნიშნული პირობების შეუსრულებლობა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.

6. ინსპექტირების შედეგად ასევე გამოვლინდა **გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის ფაქტი.** კერძოდ:

6.1. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად ბათუმის აეროპორტის მაქსიმალური წარმადობაა 600 000 მგზავრი/წელიწადში. ტერიტორიის საერთო ფართობია 230 ჰა, ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის ფართობია 15700 ჰა, ბაქანის ფართობია 4800 ჰა, სამანევრო ბილიკები (2 ბილიკი) ფართობია - 9 600მ^2. თუმცა, ინსპექტირებით დადგინდა, რომ ტერიტორიის საერთო ფართობია 116 ჰა (1 160 785 მ^2), ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის ფართობია - 150 000 მ^2, საჰაერო ხომალდის სადგომის ფართობი 50293მ^2 და სამანევრო ბილიკების

(2) ფართობია 150 200 m^2 და აეროპორტში 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა 621 610 მგზავრის მომსახურება;

6.2. ტერიტორიაზე განთავსებულია 1 ცალი AJD – 275 სერიის 250 კვ და 1 ცალი PoverKit M26 სერიის 1000 კვ დიზელ-გენერატორები. აღნიშნული დიზელ-გენერატორები არ არის განხილული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში;

6.3. თბოენერგომომარაგების შენობაში ცალკე გამოყოფილ ოთახში განთავსებულია საქვაბე მეურნეობა, სადაც დამონტაჟებულია 3 ცალი NA R200 მარკის ცხელი წყლის ბოილერი, თითოეულს გააჩნია მიწის პირიდან 14.8 მ. სიმაღლის გაფრქვევის მილი. აღნიშნული არ არის განხილული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში;

6.4. ინსპექტირებით დადგინდა, რომ თბოენერგო მომსახურების შენობაში, ტერმინალის წყალმომარაგებისათვის ხორციელდება ჭაბურღილებიდან შემოსული წყლის დარბილების პროცესი. კერძოდ, მექანიკური ფილტრის გავლის შემდგომ ხდება წყლის დაქლორვა. დაქლორილი წყალი ქვიშის, ნახშირის და ულტრაიისფერ ფილტრის გავლის შემდეგ, მიეწოდება ტერმინალში არსებულ სამედიცინო პუნქტებსა და კაფეებს, რომლებიც აღნიშნულ წყალს იყენებენ ტექნიკური მიზნებისათვის. აღნიშნული ტექნოლოგიის თაობაზე ინფორმაცია არ არის ასახული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში;

6.5. ინსპექტირებისას დადგინდა, რომ 2022 წელს, ბაქანის მომიჯნავე ტერიტორიაზე, მოეწყო აეროპორტის ოპერირებაში მყოფი ავტომანქანებისათვის განკუთვნილი ავტოგასამართი სადგური. აღნიშნული სადგური განთავსებულია 25 m^2 ფართობის მობეტონებულ, ოთხივე მხრიდან ღია და ზემოდან გადახურულ უბანზე. ადგილზე დამონტაჟებულია 2 ერთეული საწვავის (2400 ლიტრი ტევადობის დიზელის და 1200 ლიტრი ტევადობის ბენზინის რეზერვუარი) შესანახი რეზერვუარი. ორივე რეზერვუარს გააჩნია დაღვრის საწინააღმდეგო შემკრები ავზი და თითოეულ რეზერვუარს გააჩნია საწვავის გამცემი 1 ცალი ჩამსხმელი. ზემოაღნიშნული უბანი არ არის განხილული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში;

6.6. ინსპექტირებით დადგინდა, რომ აეროპორტის ტერიტორიაზე, 2021 წელს მოეწყო 200 m^3 წარმადობის "ASM ARITMA" ფირმის ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა დამხმარე ინფრასტრუქტურით (მექანიკური დამჭერები, შემკრები ავზები და საქაჩი ტუმბოები). აღნიშნული გამწმენდი ნაგებობა არ არის განხილული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში;

6.7. ინსპექტირებისას დადგინდა, რომ №1 ბაქანის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულია სპეც. მანქანები, სადაც თავსდება "De-anti icing fluid" სითხე. მანქანა აღჭურვილია გათბობის

სისტემით, რომლის საშუალებით ხორციელდება სითხის გათბობა და შემდგომ ხდება გამთბარი სითხით თვითმფრინავების გარე ზედაპირების წმენდა გაყინვის და კოროზიის საწინააღმდეგოდ. რეცხვისას ხდება აღნიშნული სითხის ნაწილობრივ აორთქლება, ხოლო დარჩენილი მცირე რაოდენობა ჩაედინება №12 ბაქანის მიმდებარედ მიწისქვეშ განთავსებულ 2 ტონიან რეზერვუარში. აღნიშნული პროცესები არ არის განხილული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში;

6.8. ინსპექტირებისას დათვალიერდა ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის გასწვრივ მოწყობილი სანიაღვრე ბეტონის ღია მეორე არხი. აღნიშნული არხი ტერიტორიის გარკვეული მონაკვეთიდან უერთდება მიწისქვეშ გამავალ მილებს. მიწისქვეშა მილების (დაახლოებით 500 მეტრი) საშუალებით, სანიაღვრე ჩამდინარე წყალი ჩადის შავ ზღვაში. აღნიშნული სანიაღვრე სისტემა არ არის განხილული გზშ ანგარიშში;

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე, **წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.**

7. ინსპექტირებისას დადგინდა, რომ შპს "ბათუმის აეროპორტი" ნარჩენების მართვას არ ახორციელებს ნარჩენების მართვის კოდექსით დადგენილი ვალდებულებების შესაბამისად. კერძოდ:

7.1. შპს „ბათუმის აეროპორტი“ საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ სახიფათო ნარჩენებს (**160107*** - 3 კგ. ზეთის ფილტრები (ზეთის და საწვავის ფილტრები); **150202*** - 6 კგ. აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში, საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანისამოსი, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებით; **080111***- 6 კგ. ნარჩენი საღებავი ან ლაქი, რომელიც შეიცავს ორგანულ გამხსნელებს ან სხვა სახიფათო ნივთიერებებს) გადასცემს შპს „პროექტების განვითარების ჯგუფი“-ს (ს/კ 200268370), რომელსაც ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში ნარჩენების შეგროვება/ტრანსპორტირებაზე არ აქვს გავლილი საქმიანობის რეგისტრაცია. შესაბამისად გამოვლინდა სახიფათო ნარჩენების არაუფლებამოსილ პირზე გადაცემის ფაქტი, რაც წარმოადგენს ნარჩენების მართვის კოდექსის **35[1] მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.**

7.2. ინსპექტირებისას დადგინდა, რომ შპს "ბათუმის აეროპორტი" არ აწარმოებს ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge) სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმას. შესაბამისად, გამოვლინდა სახიფათო ნარჩენების

ტრანსპორტირების დაწყებამდე, შესაბამის ელექტრონულ სისტემაში, სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმის შევსებისა და წარდგენის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის ფაქტი, **რაც წარმოადგენს ნარჩენების მართვის კოდექსის 40[1] მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.**

8. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ აეროპორტის ტერიტორიაზე არსებულ 17 ერთეული ჰაერკონდიცირების მოწყობილობა მოიხმარს 3 კგ ან 3 კგ-ზე მეტ სხვადასხვა ტიპის მაცივარაგენტს, თუმცა, კომპანიას მაცივარაგენტების მართვის ელექტრონულ სისტემაში (https://emoe.gov.ge/) არ აქვს გავლილი რეგისტრაცია, **რაც წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 82[3] მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას.**

განხორციელებული შემოწმების შედეგებზე, 2024 წლის 8 ოქტომბერს, შედგა შემოწმების შესახებ ინსპექტირების № 004668 აქტი, ხოლო გამოვლენილ დარღვევებზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის პირველი ნაწილის, 79[7] მუხლის პირველი ნაწილის, 82[3] მუხლის, ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის 40[1] მუხლის მე-2 ნაწილის და 35[1] მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №089093 ოქმი, რომელიც თანდართული მასალებით, განსახილველად გადაეგზავნა ქ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლომ, 2024 წლის 18 ნოემბრის №4-1799/24 დადგენილებით, შპს „ბათუმის აეროპორტი" სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7] მუხლის პირველი ნაწილით, 79[8] მუხლის პირველი ნაწილით, 82[3] მუხლით, ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის 40[1] მუხლის მე-2 ნაწილით და 35[1] მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში (გარდა №089093 ოქმის დანართის 1.1; 1.2; 1.3; 1.4; 1.8 და 1.9 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისა) და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 7 000 ლარის ოდენობით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 18 ნოემბრის №4-1799/24 დადგენილება შპს „ბათუმის აეროპორტი"-ს მიერ გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლომ, 2025 წლის 25 აპრილის №4/ა-107-25 დადგენილებით, განუხილველად დატოვა კომპანიის საჩივარი (ხარვეზის დაუკმაყოფილებლობის გამო). დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

ამასთან, ზემოაღნიშნულ ცვლილებებზე (მე-6 პუნქტი), დღეს არსებული მდგომარეობით, კომპანიას გავლილი აქვს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისიწინებული სკრინინგის პროცედურა, ხოლო სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2024 წლის 8 ოქტომბრის №573/ს და 2025 წლის 11 აგვისტოს №420/ს ბრძანებებით, ბათუმის საერთაშორისო

2025 წლის 15 სექტემბრის №003949 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

აეროპორტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გაცემულია სკრინიგნის გადაწყვეტილებები, რომლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აეროპორტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლი შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ბათუმის აეროპორტი"-ს მიმართ, შემუშავდა დეპარტამენტის 2025 წლის 15 სექტემბრის №003949 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2025 წლის 15 სექტემბრის №003949 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „ბათუმის აეროპორტი“-ზე (ს/კ 245426882), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 ნოემბრის №2-1140 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2010 წლის 22 დეკემბრის №86 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „ბათუმის აეროპორტი“ ვალდებულია**:

1. საქმიანობა **მუდმივად** განახორციელოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, შესაბამისად (2010 წლის 22 დეკემბრის №86 ეკოლოგიური ექსპერტიზის **დასკვნის პირველი პირობა**), მათ შორის:

1.1 ადმინისტრაციული მიწერილობის **ჩაბარებიდან არაუგვიანეს კვირაში ერთხელ** გამწმენდ ნაგებობამდე და მიმდებარე მიმღებ ჭაში ჩაშვებამდე, განახორციელოს გზშ ანგარიშით და ზდჩ პროექტით გათვალისწინებულ ინგრედიენტებზე კვლევა;

1.2 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით** ჩაატაროს, ხოლო შემდგომ პერიოდულად **(წელიწადში ოთხჯერ)** უზრუნველყოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემის ეფექტურობის კონტროლი, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

1.3 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **საქმიანობის განხორციელების პროცესში** უზრუნველყოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან 2025 წლის 4 თებერვალს №21/913 წერილით შეთანხმებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში“ წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;

1.4 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, „ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი“-ს შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება ინსპექტირებისას ნანახი, ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის გასწვრივ მოწყობილი სანიაღვრე ბეტონის ღია მეორე არხიდან მიწისქვეშა მილების (დაახლოებით 500 მეტრი) საშუალებით, სანიაღვრე ჩამდინარე წყლის, შავ ზღვაში ჩაშვების საკითხიც, შემდგომ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს შეთანხმებული პროექტის შესაბამისად (დანართი №1-ის 1.7 ქვეპუნქტი)

2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ** მუდმივად **უზრუნველყოს** ტერიტორიაზე წარმოქმნილი მონარეცხი და სანიაღვრე წყლების

საკანალიზაციო მუნიციპალურ არხში ჩაშვება (2010 წლის 22 დეკემბრის №86 ეკოლოგიური ექსპერტიზის **დასკვნის მე-6 პირობა**);

3. არაუგვიანეს 2026 წლის 15 იანვრის ჩათვლით უზრუნველყოს ჩამდინარე წყლების 2025 წლის კვარტალური მონიტორინგის შედეგების, წლიურ ანგარიშთან ერთად, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოში განსახილველად წარდგენა (2010 წლის 22 დეკემბრის №86 ეკოლოგიური ექსპერტიზის **დასკვნის მე-7 პირობა**);

4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, ავარიებზე ექსტრემალური რეაგირების გეგმის (შემუშავებული სავალდებულო სამოქმედო არეალის რადიუსის ICAO -ს ნორმატივების შესაბამისად) სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოში განსახილველად წარდგენა (2010 წლის 22 დეკემბრის №86 ეკოლოგიური ექსპერტიზის **დასკვნის მე-8 პირობა**);

5. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, ზღვის ნაპირდაცვით ღონისძიებებში ერთიანი ლითოდინამიკური სისტემის ფარგლებში შემუშავებული კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოში განსახილველად წარდგენა (2010 წლის 22 დეკემბრის №86 ეკოლოგიური ექსპერტიზის **დასკვნის მე-9 პირობა**).